# ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** | **ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი (Master of American Studies) |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** | 120 კრედიტი |
| **სწავლების ენა:** | ინგლისური |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** | • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>• სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში). ინფორმაცია ხელმისაწვდომია –https://iro.ibsu.edu.ge/en/home)<br>• გარდა ამისა, აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის შიდა გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან/და გაიაროს გასაუბრება.<br>• კანდიდატი, რომელსაც აქვს ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი, თავისუფლდება ენის გამოცდის ჩაბარებისგან. ასევე, ის კანდიდატი, რომელმაც დაამთავრა ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამა, თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან.<br>• სტუდენტების ჩარიცხვა მოხდება მობილობის წესების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No10 (4.02.2010 წ.) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაყვანისა და საფასურის დამტკიცების წესის შესახებ“ რეგულაციის შესაბამისად. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** | აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა გაგრძელებაა მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული, საქართველოში ერთადერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის, |

რომელიც პირველად გაიხსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით. ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სპეციფიკურობამ და უნიკალურობამ, რაც გულისხმობს ისეთი მრავალფეროვანი საგნების შესწავლას, როგორებიცაა: ამერიკის ისტორია, ამერიკის ლიტერატურა, ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკის კულტურა და საზოგადოება, ამერიკის გეოგრაფია, ამერიკელ ქალთა ისტორია, ამერიკული მედია, ამერიკის პოლიტიკა და სხვა. აგრეთვე სტუდენტების მიერ გამოხატულმა დიდმა ინტერესმა ამერიკის ისტორიის და მისი საგარეო პოლიტიკისადმი, გადაგვაწყვეტინა კონცენტრაცია მოგვეხდინა პოლიტიკასა და ისტორიაზე საბაკალავრო პროგრამის - სამაგისტრო პროგრამის „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში შექმნით“.

1. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა შეისწავლონ ამერიკის საგარეო ურთიერთობების წინაშე მდგარი გამოწვევები რაც მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი წარმოადგენს 2001 წლის 10 სექტემბრამდე დღის წესრიგს, როდესაც მსოფლიო უკვე გადიოდა ისტორიულ გარდამავალ ეტაპს, იმყოფებოდა რა ცივი ომის დამთავრების და დიდი მოლოდინების ფაზაში, მიუხედავად იმისა რომ ომის ხანა არ იყო დამთავრებული, თუ მხედველობაში მივიღებთ ბოსნიის, რუანდის და სხვა სერიოზული კონფლიქტების მაგალითებს; ამ ეტაპის შესწავლას მოიცავს გლობალიზაციის გაძლიერება და გავრცელება მსოფლიოში თავისი პროგრესით და პრობლემებით; დემოკრატიის მასშტაბების გაფართოვებას და მის წინაშე დამდგარი კონსოლიდაციის და ინსტიტუციონალიზმის გამოწვევებს. ხოლო მეორე ეტაპს, დაწყებულს 2001 წლის 11 სექტემბრიდან, განიხილავენ, როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგის ტრანსფორმაციას, გამოწვეულს ტერორიზმთან ომის გამოცხადებით;

აღჭურვოს კურსდამთავრებული სტრატეგიებით, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას სწორი აქცენტი დასვას საქართველოსა და ევრო-ატლანტიკური პარტნიორების და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობაზე.

2. აქედან გამომდინარე მოცემული პროგრამის კურსები მიზნად ისახავს შეასწავლოს სტუდენტებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ისეთი მთავარო საკითხები, თუ რა არის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესი და რომელი პოლიტიკური სტრატეგიები იქნება

| | | |
|---|---|---|
| | ამისთვის მისაღები და ხელსაყრელი. ამასთანავე პროგრამის კურსები გააცნობს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ძირითად საკითხებს - დემოკრატიის განვითარება, თუ რა როლს თამაშობენ და რა გავლენა აქვთ ინსტიტუტებს და მოქმედ პირებს, პრეზიდენტებს, მათ შორის საქართველოსთან მიმართებით; ამერიკის ისტორიის დინამიკას, რეგიონის თავისებურებებს, მულტიკულტურალიზმს ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში ამერიკელ ექსპერტებზე დაყრდნობით.<br>3. პროგრამის მეშვეობით სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნობიან და გამოკვლევენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების ფორმირების პროცესებს, რაც მიმართულია სწორი გეგმების დასახვის და მათ განსახორციელებლად ოპტიმალური გზების მოძიებისკენ; საგარეო ურთიერთობების პოლიტიკას, როგორც „არჩევანის პროცესს", რაც ნიშნავს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას პოლიტიკური ინსტიტუტების და ამერიკული პოლიტიკური სისტემის სოციალური გავლენების მეშვეობით, ამავდროულად გაიაზროს სწავლის გაღრმავების აუცილებლობა. | |
| **სწავლის შედეგები** | სტუდენტი: | |
| | **ცოდნა და გაცნობიერება** | 1. კურსდამთავრებული იღებს ღრმა, სისტემურ ცოდნას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის როლზე ინსტიტუციების და საზოგადოებრივი გავლენების ფორმირების პროცესში;<br>2. იცის და აცნობიერებს ამერიკის დემოკრატიის ძირითად პრინციპებს; აცნობიერებს საქართველოს ნატოს წამყვან წევრებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას ალიანსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად; |
| | **უნარი** | 3. შეისწავლის და კრიტიკულად აღწერს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით თანასწორობასა და თავისუფლებას შორის დაპირისპირების პროცესებს; აშშ-ს ცალკეული რეგიონების განვითარების თავისებურებების გავლენას ამერიკის მრავალფეროვან კულტურაზე;<br>4. კომპლექსურად შეისწავლის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დინამიკას; პრეზიდენტობის ინსტიტუტის ისტორიის თავისებურებების გავლენას აშშ-ს საგარეო ურთიერთობებზე; დეტალურად ხსნის ევრო- |

| | | |
|---|---|---|
| | | ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან (EAPC) რეგიონალურ საკითხებზე თანამშრომლობის აუცილებლობას;<br>5. ახდენს საგარეო ურთიერთობების, აშშ-ს ისტორიის, დემოკრატიის პრინციპების, კულტურის, მრავალფეროვანი რეგიონალური თავისებურებების შეჯერებას ინტერდისციპლინარულ რაკურსში და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას, შედარებას და დასკვნების ჩამოყალიბებას;<br>6. ახდენს საკუთარი აზრის არგუმენტირებას, თეორიული დებულებების პრაქტიკული მაგალითებით ილუსტრირებას;<br>7. ახდენს არგუმენტაციას და იძევს პრობლემების გადაჭრის გზებს ამერიკელ ექსპერტებთან, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; ახორციელებს უცხოელ სპეციალისტთან ეფექტიან კომუნიკაციას, უსმენს ამერიკელის საუბარს და ახდენს ადეკვატური რეაგირებას, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპისა, ინტონაციისა თუ თემატიკის; ასრულებს რთულ დავალებებს, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებზე;<br>8. ორთოგრაფიულად და აზრობრივად სწორად წერს ნაშრომს, თხზულებას, ესსეს; გამოხატავს საკუთარ აზრს წერილობით და მკაფიოდ, აანალიზებს კრიტიკულად ადგენს დარგობრივი და მაღალი ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, შესაბამისი ტერმინოლოგია) აღჭურვილ ნაშრომს, თხზულებას/ესსეს;<br>9. ამზადებს ანალიტიკურ მოხსენებებს, ნაშრომს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებში აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; სახავს უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს ან/და ახორციელებს კვლევას დამოუკიდებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; |

| | | |
|---|---|---|
| | **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | ადგენს შემდგომ სწავლის საჭიროებებს, კერძოდ, იაზრებს სწავლისა და განვითარების მიმართულებით მუდმივად გაღრმავების აუცილებლობას და წარმართავს საკუთარ სწავლას დამოუკიდებლად;ავითარებს ინტერესს შემდგომი კვლევის მიმართ აშშ-ს საგარეო ურთიერთობების სფეროში, ცოდნის/სწავლის მიმართ პატივისცემას, სიახლისკენ მიდრეკილებას, აკადემიურ პატიოსნებას; მონაწილეობს ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობს მათ განხორციელებას. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;<br>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;<br>ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;<br>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;<br>ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. | |

| | |
|---|---|
| | შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br><br>შეფასების სისტემა არის იგივე, (FX) ვერ ჩააბარა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, (F) ჩაიჭრა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.<br>კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება:<br>სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც შედგება ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის შეფასებებისაგან. ხელმძღვანელი აფასებს 30 ქულით, რეცენზენტი 33 ქულით, კომისია 37 ქულით. დასკვნითი შეფასებისათვის, აღნიშნული შეფასებები ჯამდება. სამაგისტრო თემის დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100<br>შეფასების სისტემა არის იგივე, |
| **დასაქმების სფერო** | სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ამას გარდა მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ |

| | |
|---|---|
| | ექსპერტად საელჩოებში, ამერიკულ ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში,საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში (NATO-ს დეპარტამენტი), საერთაშორისო ორგანიზაციებში (USAID; UN), ორგანიზაციებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ (აშშ, თურქეთი, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამირო), კულტურის დეპარტამენტებში, საზოგადოებრივი მართვის დეპარტამენტებსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში. |

| # | კოდი | სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი | სტატუსი | პრერეკვიზიტი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების განაწილება კურსების და სემესტრების მიხედვით | | | | | | საათების განაწილება | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | I ს.წ. | | II ს.წ. | | საკონტაქტო საათები | | | | | დამოუკიდებელი მუშაობა | ჯამური საათები |
| | | | | | | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი | ლექცია/კონსულტაცია | სემინარი/ჯგუფური მუშაობა//პრაქტიკული სამუშაო | შუალედური გამოცდ(ა/ები) | დასკვნითი გამოცდა | სულ საკონტაქტო | | |
| | | ძირითადი სპეციალობის კურსები (60 კრედიტი) | | | 60 ECTS | | | | | | | | | | | |
| | USFA501 | აშშ-ს საშინაო პოლიტიკა | სავალდებულო | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA510 | კვლევის მეთოდები | სავალდებულო | აშშ-ს საშინაო | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პოლიტიკა ;აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ; ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | | | | | | | | | | | | |
| | USFA503 | აშშ-ს საგარეო პოლიტიკა | სავალდებულო | არ გააჩნია | | | 10 | | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 203 | 250 |
| | USFA505 | საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მომავალი როლი | სავალდებულო | არ გააჩნია | | | 10 | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA509 | ქართულ-ამერიკული ურთიერთობები | სავალდებულო | აშშ-ს საშინაო პოლიტიკა ;აშშ-ს საგარეო პოლიტიკა | | | | 10 | | 29 | 13 | 2 | 2 | 46 | 202 | 250 |
| | USFA506 | ამერიკის პრეზიდენტობის ისტორია | სავალდებულო | არ გააჩნია | | | | 10 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | AMS512 | სამაგისტრო ნაშრომი | სავალდებულო | ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი | | | | 30 | | **30** | | | | **30** | **720** | **750** |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები** | | | **30** | 10 | 10 | 10 | | **45** | **39** | **6** | **6** | **96** | **654** | **750** |
| | USFA511 | საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები | არჩევითი | არ გააჩნია | | | | 10 | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA502 | ამერიკის დემოკრატია | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA517 | ახალი მედია და ამერიკული საზოგადოება | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | AMS510 | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA518 | ამერიკული დახმარება საქართველოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA504 | ამერიკისმცოდნეობა და გლობალიზაცია | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | USFA507 | საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები | არჩევითი | არ გააჩნია | | 10 | | | | 15 | 13 | 2 | 2 | 32 | 218 | 250 |
| | | | | სულ | 120 | 30 | 30 | 30 | 30 | | | | | | | |